შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი
ბრძანება 01-03/30

ქ. ბათუმი 29.03.2024

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს, შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი დანართი N 1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს, საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციული სამსახურის მენეჯერს, მოახდინოს ამ ბრძანების 1-ელი პუნქტის შესაბამისი ღონისძიების განხორციელება
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30)

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის

გენერალური დირექტორი

ნინო ჩიკვაშვილი

დანართი №1
დამტკიცებულია:
შპს ამერიკული საერთაშორისო
სკოლა პროგრესი - ბათუმის გენერალური დირექტორის
2024 წლის 29 მარტი №01-03/30 ბრძანებით

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
შუალედური შეფასების ჩატარების წესი

2024
წელი

შინაარსი

მუხლი 1. რეგულირების სფერო 3
მუხლი 2. შუალედური შეფასების არსი და მიზანი 3
მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა 3
მუხლი 4. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი 3
მუხლი 5. შუალედური შეფასების კომისია 5
მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების ინსტრუმენტი 6
მუხლი 7. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდურობის შემოწმება 6
მუხლი 8. შუალედური შეფასების შედეგები 6
მუხლი 9. დუალურ პროგრამაზე შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობები 7
მუხლი 10. შუალედური შეფასების პროცესი 7
მუხლი 11. განმეორებითი შუალედური შეფასება 7
მუხლი 12. შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შედეგები 8
მუხლი 13. პროფესიულ სტუდენტთან კომუნიკაცია 9
მუხლი 14. შუალედური შეფასების მტკიცებულება 9
მუხლი 15. შუალედური შეფასების შედეგების გასაჩივრება 9
მუხლი 16. შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი 9

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის (შემდგომში - სკოლა) კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. შუალედური შეფასების არსი და მიზანი

1. შუალედური შეფასება, როგორც განმავითარებელი შეფასება, ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. გამოიყენება, როგორც პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის, ასევე - პროგრამის შემდგომი სრულყოფისთვის.

2. შუალედური შეფასების საგანია პროფესიული სტუდენტის პროფესიული ცოდნა და უნარები/კომპეტენციები. შუალედური შეფასების თემატიკა ეფუძნება შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს.

3. დუალური პროგრამის შემთხვევაში სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალში ინსტრუქტორის მიერ გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერებით.

4. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა პროფესიული სტუდენტისათვის სავალდებულოა. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესსა და შეფასების მტკიცებულებას.

2. სკოლა უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, სამართლიან, გამჭვირვალე და ობიექტურ შეფასების სისტემას.

3. შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი ვარგისია იმ სწავლის შედეგების დადასტურებისათვის რომელსაც ეფუძნება შუალედური შეფასების შინაარსი.

4. შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. სანდოობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტის ნაშრომით ან/და შეფასების კომისიის ჩანაწერების ფურცლით (ე.წ. ჩეკლისტი).

5. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე, შუალედური შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია, წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის.

6. შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს კომპეტენციების არსებობა (მათ შორის, შეფასების დრო, შეფასების გარემო და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

7. შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

მუხლი 4. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი

1. შუალედური შეფასების ორგანიზებისა და ადმინისტრირების მიზნით, სკოლის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი (შემდეგში - ადმინისტრირების ჯგუფი), შუალედურ შეფასებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტისა.

2. ადმინისტრირების ჯგუფის სავალდებულო წევრები არიან:

ა). უწყვეტი და პროფესიული განათლებსი სამსახურის უფროსი

ბ). შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

გ). პროფესიული და უწყვეტი განათლბის მხარდაჭერის სპეციალისტი

დ) კოოპერაციული/დუალური პროგრამის შემთხვევაში პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელი;

3. ადმინისტრირების ჯგუფის ხელმძღვანელი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ბრძანებით;

4. ადმინისტრირების ჯგუფი:

ა). განსაზღვრავს შუალედური შეფასების (მათ შორის, განმეორებითი შუალედური შეფასების თარიღს/თარიღებს);

ბ). დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას შუალედური შეფასების თარიღების შესახებ;

გ). პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების (მათ შორის, შუალედური შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების კრიტერიუმების, შეფასების მეთოდების შესახებ) მიზნით, ადმინისტრირების ჯგუფი ხვდება პროფესიულ სტუდენტებს. სატელეფონო ტექსტურ შეტყობინებას პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრის თაობაზე, პროფესიული და უწყვეტი განათლების მხარდაჭერის სპეციალისტი აწვდის პროფესიულ სტუდენტებს, მათ მიერ ბაზაში მითითებულ სატელეფონო ნომერზე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა შეფასების თარიღამდე;

დ). მოიძიებს შეფასების კომისიის წევრებს და აცნობებს მათ შესაბამის პროგრამაზე შეფასების (მათ შორის, განმეორებითი შუალედური შეფასების) თარიღის შესახებ, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე შეფასების თარიღის დადგომამდე;

ე). განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა განცხადებებს შუალედური შეფასების აღდგენის თაობაზე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

ვ). შუალედური შეფასების შედეგებს აცნობებს პროფესიულ სტუდენტებს შუალედური შეფასების შედეგების მიღებიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში;

ზ). შეფასების კომისიას უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას შეფასების პროცესში. ასევე, შეფასების კომისიის წევრებს გააცნობს შეფასების ინსტრუმენტს, კრიტერიუმებს და შუალედური შეფასების გაცემის წესს. აღნიშნული ფუნქცია ადმინისტრირების ჯგუფის შეთავაზებით შესაძლებელია შეასრულოს სხვა ორგანიზაციამ (დარგობრივი ასოციაცია, სავაჭრო - სამრეწველო პალატა და სხვ.);

თ). უზრუნველყოფს შუალედური შეფასების ჩატარებისთვის შესაფერის გარემოს. დუალური პროგრამის შემთხვევაში, პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით;

ი) სკოლის ფინანსურ და მატრიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის სამსახურებს მიაწვდის ინფორმაციას შუალედური შეფასებისათვის საჭირო რესურსის შესახებ, არაუგვიანეს 15 დღისა შეფასებამდე, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, გარდა აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტისა.

კ). ახორციელებს შუალედური შეფასების პროცესის ადმინისტრირებისთვის საჭირო სხვა ღონისძიებებს.

5. ადმინისტრირების ჯგუფი ანგარიშვალდებულია სკოლის გენერალური დირექტორის, მისი არყოფნისა აღმასრულებელი და სკოლის დირექტორის წინაშე. შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში დირექტორს წარედგინება შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის დასრულებიდან მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში.

6. ადმინისტრირების ჯგუფი გენერალურ დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებელ პროფესიულ სტუდენტთა, ასევე იმ პროფესიულ სტუდენტთა შესახებ, რომლებიც არ დაიშვებიან შუალედურ შეფასებაზე. ამ ინფორმაციას ადმინისტრირების ჯგუფი დირექტორს აწვდის შუალედური შეფასების გასაჩივრებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა. ასევე, დუალური პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის წარმოუდგენლობის შემთხვევაში - შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 7 დღისა;

7. ადმინისტრირების ჯგუფი წარუდგენს გენერალურ დირექტორს შეფასების კომისიის წევრთა კანდიდატურებს, შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 7 დღისა.

8. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკული კომპონენტის შეფასება ტარდება სკოლის ბაზაზე და საგამოცდო რესურსი არის შესაძენი, ადმინისტრირების ჯგუფი იქმნება არაუგვიანეს 2 თვისა შეფასებამდე და შესასყიდი რესურსის ჩამონათვალი პასუხისმგებელი სამსახურების/პირებისთვის წარდგენილი უნდა იქნას შეფასებამდე ერთი თვით ადრე;

მუხლი 5. შუალედური შეფასების კომისია

1. შუალედურ შეფასებას გასცემს შუალედური შეფასების კომისია (შემდგომში -შეფასების კომისია).

2. შეფასების კომისიის შემადგენლობას, ადმინისტრირების ჯგუფის წარდგინებით, ამტკიცებს სკოლის გენერალური დირექტორი.

3. შეფასების კომისია შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტს უნდა ქმნიდეს პარტნიორი ორგანიზაციების/დარგობრივი ასოციაციების/სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, ან/და დარგის/განათლების ექსპერტები.

4. დუალური პროგრამის შემთხვევაში შუალედური შეფასების კომისიის სავალდებულო წევრია დუოს მიერ წარმოდგენილი წევრი (დუოს არსებობის შემთხვევაში). სხვა შემთხვევაში - შესაბამისი დარგობრივი ასოციაციის წარმომადგენელი;

5. შუალედური შეფასების კომისიაში დუოს ან დარგობრივი ასოციაციის ჩართულობის მიზნით, სკოლა თანამშრომლობს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან. დუოს არარსებობის, კომისიაში მუშაობაში ჩართულობის მსურველი დარგობრივი ასოციაციის არარსებობის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია ჩაატაროს შუალედური შეფასება.

6. შეფასების კომისიის შემადგენლობაში დასაშვებია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირების მონაწილეობა.

7. შეფასების კომისიის წევრი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული სტუდენტის შეფასებაში და გასცეს შუალედური შეფასება.

8. შეფასების კომისიის წევრი ვალდებულია, წინასწარ გაეცნოს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შექმნილ შეფასების ინსტრუმენტს და მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრირების ჯგუფის მიერ ორგანიზებულ საკონსულტაციო შეხვედრაში, შუალედური შეფასების ჩატარების პროცედურებთან დაკავშირებით.

9. შუალედური შეფასების კომისია შეფასებისას ეყრდნობა არსებულ შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების კრიტერიუმებს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია.

10.ტესტირების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის ნაშრომს აფასებს შეფასების კომისიის ორი წევრი. საგამოცდო კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ ნაშრომს და წერენ ქულას. განსხვავება ქულებს შორის არ უნდა აღემატებოდეს 5 ქულას. საბოლოო ქულა არის საშუალო არითმეტიკული, თუმცა, ქულებს შორის დიდი სხვაობის შემთხვევაში (5 ქულა ან მეტი) კომისიის წევრებს შორის უნდა მოხდეს ნამუშევრის განხილვა და საერთო ქულის შეჯერება.

11.პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომების შეფასებისას, საჭიროების შემთხვევაში, შეფასების კომისიის წევრები უფლებამოსილი არიან მოითხოვონ შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფის წევრებთან კონსულტაცია.

12.პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარების შუალედური შეფასების მიზნებისთვის, კომისიის წევრები შეფასების ქულას ასახავენ შეფასების შესაბამის ფორმაში და პროფესიული სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულა გამოიანგარიშება კომისიის წევრთა მიერ გაცემული ქულების ჯამის შემფასებელთა რაოდენობაზე გაყოფით.

13.პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასებისას კომისია უფლებამოსილია თუ შეფასებაში მონაწილეობს კომისიის წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების ინსტრუმენტი

1. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება დიფერენცირებული შეფასების სისტემა.

2. მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა. გადაწყვეტილებას თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის თანაფარდობის თაობაზე ღებულობს სამუშაო ჯგუფი. ამასთან, პრაქტიკული კომპონენტის ხვედრითი წილი უნდა შეადგენდეს საერთო შეფასების არანაკლებ - 60%-ს.

3. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების ინსტრუმენტია შუალედური დავალება, რომელსაც შუალედური შეფასების მიზნებისთვის ასრულებს პროფესიული სტუდენტი, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები შეფასების საგანთან მიმართებით.

4. შუალედური დავალება უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. შუალედური დავალების პირობა/პირობები იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ წარმოჩნდეს როგორც პროფესიული სტუდენტის თეორიული ცოდნა, ასევე - პროფესიული სტუდენტის უნარი.

5. შუალედური დავალება, შესაძლოა შედგებოდეს ორი განცალკევებული - თეორიული (თეორიული შუალედური დავალება) და პრაქტიკული ნაწილისაგან (პრაქტიკული შუალედური დავალება) ან შედგეს ერთიანი შუალედური კომპლექსური დავალების სახით, სადაც იქნება ინტეგრირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

6. შუალედური დავალება შემუშავდება იმ პროფესიული ცოდნისა და უნარების ფარგლებში, რომლის გამომუშავებისკენაც მიმართულია პროფესიული სტუდენტების დადასტურებული სწავლის შედეგები.

7. შეფასების კრიტერიუმები არის შუალედური დავალების ნაწილი და მიეთითება შუალედურ დავალებაში.

8. შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილი დრო არ უნდა იყოს 2 საათზე ნაკლები.

9. შუალედური შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი, შეფასების თარიღი, შესაბამისი პროგრამის დასახელება, შეფასების ტიპის დასახელება (შუალედური შეფასება), დავალების სახე, დავალების პირობა, დავალების შესასრულებლად განსაზღვრული დრო, შეფასებისთვის საჭირო გარემო - პირობები, სახარჯო რესურსი, შეფასების სქემა.

10. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას შემფასებელთა და ვალიდატორთა შესახებ.

მუხლი 7. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდურობის შემოწმება

1. შუალედური შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შესაძლო წევრები არიან მოდულების განმახორციელებლები, დუალური პროგრამის შემთხვევაში ინსტრუქტორი/პარტნიორი კოლეჯების წარმომადგენლები და სხვ.

2. შეფასების ინსტრუმენტი შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 10 დღისა, გადის ვალიდაციას, სკოლის მიერ დადგენილი წესით. შესაძლებელია გარე ვალიდატორების მოწვევა - ინსტრუმენტის ვალიდაცია სხვა დაწესებულების განმახორციელებელთა, დარგის სპეციალისტთა მიერ.

3. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესში ჩართული პირები, აგრეთვე - ადმინისტრირების ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან წინასწარ არ გაამჟღავნონ თეორიული შუალედური დავალების შინაარსი.

მუხლი 8. შუალედური შეფასების შედეგები

1. შუალედური შეფასებაზე მიღებული ქულა გავლენას არ ახდენს პროფესიული სტუდენტის სტატუსზე.

2. თითოეული პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად იღებს უკუკავშირს მის მიერ შესრულებულ დავალებასთან დაკავშირებით შეფასების კომისიის წევრების მიერ.

3. პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებიდან (არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შუალედური შეფასებიდან) მაქსიმუმ ერთი კვირის პერიოდში პროფესიულ სტუდენტებს აძლევს

ინდივიდუალურ უკუკავშირს თითოეულ შეფასების კრიტერიუმთან მიმართებაში ასევე, ტესტურ დავალებასთან მიმართებაში (არსებობის შემთხვევაში).

4. დუალური პროგრამის ფარგლებში, ინფორმაცია შუალედური შეფასების შედეგების თაობაზე მიეწოდება პარტნიორ საწარმოს, საჭიროების შემთხვევაში შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

მუხლი 9. დუალურ პროგრამაზე შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობები

1. დუალური პროგრამის შუალედურ შეფასებაზე დაიშვება მხოლოდ ის პროფესიული სტუდენტი, რომელიც ადმინისტრირების ჯგუფს წარუდგენს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს.

2. პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი, რომელსაც შუალედურ შეფასებაზე დაშვების მიზნებისთვის წარადგენს პროფესიული სტუდენტი, უნდა იყოს დადგენილი წესით შევსებული და დადასტურებული ინსტრუქტორ(ებ)ის მიერ.

3. პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა დგინდება, სკოლის მიერ დადგენილი წესისა და პასუხისმგებელი პირების მიერ.

მუხლი 10. შუალედური შეფასების პროცესი

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს შეფასების ადგილზე, გაიაროს რეგისტრაცია და მონაწილეობა მიიღოს შეფასების პროცესში.

2. პროფესიულმა სტუდენტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. შუალედური შეფასების პროცედურაზე გამოცხადებულ პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია იწყება შეფასების დაწყებამდე 30 წუთით ადრე.

4. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ გაივლის ამ მუხლით გათვალისწინებულ რეგისტრაციას, არ დაიშვება შეფასების პროცესზე.

5. შუალედური შეფასების პროცესზე, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, თან იქონიოს წყალი, პირადი ჰიგიენის ნივთები. შეფასების კომისია პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ნებას დართავს მას, გამოიყენოს სხვა ნივთები, რომელიც აუცილებელია პროფესიული სტუდენტისთვის.

6. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-5 პუნქტის გარდა, თან იქონიოს შუალედური დავალების შესრულებისთვის საჭირო იარაღები.

7. შეფასების პროცედურაზე, პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება ნებადართული ნივთების გარდა სხვა საგნების გამოყენება.

8. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაიცვას წესრიგი, შეფასების პროცედურაზე. აკრძალულია პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი ადგილის უნებართვოდ დატოვება, გადალაპარაკება, ხმაური, ან შეფასების პროცესისთვის სხვაგვარად ხელის შეშლა.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი დატოვებს შეფასების პროცესს და მისი შეფასების ქულა განისაზღვრება ნულით.

10.რეკომენდებულია, შუალედური შეფასების პროცესს დაესწროს დამკვირვებლები. დამკვირვებელთა ოდენობამ ხელი არ უნდა შეუშალოს შეფასების პროცესს.

მუხლი 11. განმეორებითი შუალედური შეფასება

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, აღადგინოს შუალედური შეფასება, რომელზეც არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით. ამისთვის ის დასაბუთებული განცხადებით მიმართავს ადმინისტრირების ჯგუფს, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ, არაუგვიანეს შუალედური

შეფასების თარიღიდან 5 სამუშაო დღისა და წარუდგენს მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს შესაბამისი საპატიო მიზეზის არსებობას.

2. საპატიო მიზეზი, რომელიც პროფესიულ სტუდენტს აძლევს შუალედური შეფასების აღდგენის უფლებას, არის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის (მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, ბაბუა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი) გარდაცვალება, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პროფესიული სტუდენტისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე გამოცხადებას.

3. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს შუალედურ შეფასებაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

4. ადმინისტრირების ჯგუფი ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის წევრთა უმრავლესობით. გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს შესაბამის პროგრამაზე, ჯგუფის ყველა წევრი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრირების ჯგუფი არ დააკმაყოფილებს პროფესიული სტუდენტის განცხადებას, აცნობებს პროფესიულ სტუდენტს განცხადების წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

6. იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი დააკმაყოფილებს პროფესიული სტუდენტის განცხადებას, ის დანიშნავს აღდგენითი შუალედური შეფასების თარიღს და ამის თაობაზე აცნობებს სტუდენტს, არაუგვიანეს აღდგენითი შუალედური შეფასების თარიღის დადგომამდე 5 სამუშაო დღით ადრე.

7. იმ შემთხვევაში, თუ განმეორებითი შუალედური შეფასება ტარდება პარტნიორი სსასწავლო საწარმოს ბაზაზე, განმეორებითი შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი განმეორებითი შუალედურ შეფასების ადმინისტრირებისას მოქმედებს პარტნიორ საწარმოსთან შეთანხმებით.

8. განმეორებითი შუალედური შეფასება უნდა ჩატარდეს შუალედური შეფასების დასრულებიდან მაქსიმუმ სამი კვირის ვადაში.

9. თუ პროფესიულის სტუდენტისთვის წინასწარ არის ცნობილი შუალედურ შეფასებაზე ვერ გამოცხადების მიზეზი, სასურველია წინასწარ მიმართოს სკოლას, ადმინისტრირების ჯგუფის მიერ შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმის მიზნით.

10. პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტების მიერ შუალედურ შეფასებაზე ვერ გამოცხადების მიზეზის წინანსწარ გაცნობიდან გამომდინარე, რეკომენდებული ადმინისტრირების ჯგუფმა იმოქმედოს მოქნილად და შესაძლებლობის შემთხვევაში, გადაგეგმოს შეფასების პროცესი, მისცეს პროფესილ სტუდენტს შეფასების სხვა ჯგუფთან ერთად ჩაბარების შესაძლებლობა და სხვ.

მუხლი 12. შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შედეგები

1. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც შუალედურ შეფასებაზე (მათ შორის, განმეორებით შუალედურ შეფასებაზე) არ გამოცხადდება, შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პროფესიული სტუდენტი/პროფფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი შუალედური შეფასების თარიღიდან 15 დღის ვადაში მიმართავს სკოლას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით.

2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, გაასაჩივროს გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი-აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს აღუდგება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შუალედურ შეფასებაზე დაიშვება გონივრულ ვადაში.

მუხლი 13. პროფესიულ სტუდენტთან კომუნიკაცია

1. პროფესიულ სტუდენტთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება სკოლისთვის ცნობილი ელექტრონული ფოსტა ან/და მობილური ტელეფონის ნომერი.
2. ელექტრონულ ფოსტაზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ტექსტური შეტყობინება მიღებულად ითვლება.
3. პროფესიულ სტუდენტებს შეტყობინება ეგზავნებათ სკოლის ოფიციალური საკონტაქტო წყაროებიდან.
4. პროფესიულ სტუდენტთან ზეპირი კომუნიკაციის დასადასტურებლად გამოიყენება საინფორმაციო შეხვედრის ფურცელი, ხელმოწერებით.
5. პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირია პროფესიული და უწყვეტი დანათლების მხარდაჭერის სპეციალისტი.

მუხლი 14. შუალედური შეფასების მტკიცებულება

1. შეფასების კომისია, შეფასებიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს შუალედური შეფასების შედეგებს ადმინისტრირების ჯგუფს.
2. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი, მიმდინარე წელს ჩატარებული შუალედური შეფასებების მტკიცებულებებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პასუხისმგებელ პირს, შუალედური შეფასების პერიოდის ან განმეორებითი შუალედური შეფასების დასრულებიდან 15 დღის ვადაში.

მუხლი 15. შუალედური შეფასების შედეგების გასაჩივრება

1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ დაუშვეს შუალედურ შეფასებაზე ან რომელსაც არ მისცეს გაცდენილი შუალედური შეფასების აღდგენის უფლება, უფლებამოსილია, არაუგვიანეს შეფასების თარიღიდან 7 დღისა დასაბუთებული პრეტენზიით, წერილობითი ფორმით მიმართოს სკოლის გენერალურ დირექტორს.
2. პროფესიული სტუდენტის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა ადმინისტრირების ჯგუფი აპელაციის თარიღს აცნობებს განმცხადებელს (მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელ. ფოსტაზე).
3. გენერალური დირექტორი, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, შექმნის სააპელაციო კომისიას, რომელიც უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისაგან და რომლის შემადგენლობაშიც უნდა მონაწილეობდეს იმ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, სადაც რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას გადის პროფესიული სტუდენტი.
4. სააპელაციო კომისიას თავმჯდომარეობს სკოლის გენერალური დირექტორი ან მიერ მიერ უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში აღმასრულებელი დირექტორი/სკოლის დირექტორი. სააპელაციო კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის წევრი.
5. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის საფუძველზე.
6. სააპელაციო კომისია დანიშნავს განმეორებითი შუალედური შეფასების ახალ თარიღს, თუ მიიჩნევს, რომ არსებითად დაირღვა ამ წესით გათვალისწინებული პროცედურა. განმეორებითი შეფასება ინიშნება ამ წესით დადგენილ ვადაში.
7. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 16. შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი

1. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის შუა პერიოდში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შუალედური შეფასების პერიოდი განისაზღვრება პროგრამის სასწავლო გეგმით, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. დუალურ პროგრამებზე შუალედური შეფასება ტარდება პარტნიორ სასწავლო საწარმოებთან შეთანხმებით, არანაკლებ პროგრამის დასრულებამდე 7 თვით ადრე.